სს „ფინური საერთაშორისო სკოლის“

2022-2023 სასწავლო წლის

განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმის

შესრულების ანგარიში

Finnish International School Georgia

2022-2023 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობდა სკოლის 2019-2025 წლების ექვსწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმიდან.

ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდა კონკრეტული, ერთი (2022-23) სასწავლო წლის განმავლობაში განსახორიცლებელ აქტივობებს, დასახული მიზნების მიღწევის თანმიმდევრობას, მითითებული იყო შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები და განსაზღვრული იყო განხორციელების ვადები.

წარმოგიდგენთ შესრულების ანგარიშს მიმართულებების მიხედვით:

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა

დაგეგმილი იყო დამატებით ტექნიკის შესყიდვა, კერძოდ პროექტორების, კომპიუტერების, ვიდეო კამერების, პრინტერების და სხვა, რაც განხორციელდა საჭიროებების შესაბამისად. მაგალითად დამატებითი კამერების ყიდვის საჭიროება არ გამოვლენილა, მაშინ როცა შევიძინეთ აიპადები.

განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფის მიზნით დაგეგმილი სხვა ღონისძიებებიც, საიდანაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო სკოლის ახალი შენობის სამშენებლო სამუშაოების წარმოება. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ობიექტური გარემოებების გამო, მშენებლობის დასრულება დაგეგმილ ვადებში ვერ მოხერხდა. ამ ეტაპზე პროცესი დასრულებულია.

აღასნიშნია სამედიცინო კაბინეტის სისტემატიური აღჭურვა, რომელსაც, გარდა აუცილებელი ინვეტნარისა (მაცივარი, ტახტი და სხვ), დამატებით იქნა შეძენელი ნივთები მეტი კეთილმოწყობისთვის, როგორიცაა, მაგალითად, შირმა.

სკოლა გეგმავდა მოსწავლის შეფასებისა და გაკვეთილზე დასწრების ახალი ელექტრონულ ჟურნალზე გადასვლას 2022-23 სასწავლო წლიდან, რისთვისაც დაიგეგმა და სხვადასვა კომპანიების მხრიდან გაიმართა პრეზენტაციები სკოლის მასაწვლებელბისთვის, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ვერ მოხერხდა ახალი ჟურნალის საბოლოო შეჩერვა.

დაგეგმილი იყო წიგნადი ფონდის გამდიდრება და OPEN BIBLIO-ს პროგრამაში ასახვა. წიგნების შეძენა სკოლაში მუდმივი პროცესია, ასევე ასახვა OPEN BIBLIO-ს პროგრამაში დასრულდა. მომავალი წლის გეგმაში დაიგეგმა ახალი თანამშრომლის გატრენინგება აღნიშნული პროგრამით სარგებლობისთვის.

უსაფრთხო და ორგანიზებული გარემო

უსაფრთხოება სკოლის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, შესაბამისად, ამ მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებები საუკეთესოდ ხორციელდება. კერძოდ, სკოლის ტერიტორიის უსაფრთხოების დაცვა, ტერიტორიაზე პირთა გადაადგილების კონტროლი, უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგისა და სამედიცინო დახმარების წესის დაცვა, COVID-19-თან დაკავშირებული ზოგად რეკომენდაციების შესაბამისი საინფორმაციო ბროშურების შეძენა, სკოლის შენობაში განთავსება და მოსწავლეებისა და პერსონალისთვის ამ ვითარებაში მოქმედი წესების გაცნობა.

საზოგადოების მართვასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები/პროცედურები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია

რიგი ახალი საჭიროებების დადგომამ დღის წესრიგში დააყენა სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურის გადახედვის საჭიროება. აღნიშნული გათვალისწინებული იყო სამოქმედო გეგმაშიც. სტრუქტურაში ცვლილების საჭიროება დადგინდა და განხორციელება დაიგეგმა მომავალი სასწავლო წლისთვის, იმის გათვალისწინებით, რომ სკოლას დაგეგმილი აქვს ახალ შენობაში გადასვლა, მოსწავლეების რაოდენობის გაზრდა. ყოველივე აღნიშნული დამატებითი კადრების გაჩენის აუცილებლობას აყენებს.

საჭიროებისამებრ, გეგმის შესაბამის ვადებში მოხდა რიგი დოკუმენტაციის გადახედვა და შეტანილ იქნა შესაბამისი ცვლილებები , კერძოდ, სწავლის დისტანციურ რეჟიმზე გადასვლასთან დაკავშირებით ცვლილებები განხორციელდა სასკოლო სასწავლო გეგმაში.

საჭიროებისამერ ხდებოდა მასწავლებლების შერჩევა და მათთან შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება.

შემუშავდა სპეციალური პროგრამა სპეციალური საგანმანათლებლო საჭირობის მქონე მოსწავლისთვის.

აქტიურად ხდებოდა სკოლის პოპულარიზაციის კამპანიების წარმოება.

სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა - მასწავლებელთა პროფესიული განვითარება

მასწავლებელთა პროფესიული ზრდა სკოლის ერთ-ერთი პრიორიტეტია. შესაბამისად, სამოქმედო გეგმის ამ მიმართულებას გამორჩეული ადგილი უკავია. მუდმივად ხდებოდა პედაგოგების პროფესიული საჭიროების კველვა სკოლის პრინციპალისა და ვიცე-პრინციპალის მიერ, რის საფუძველზეც დაიგეგმა ტრენინგები, რომელიც მოგვიანებით განხორციელდა კიდეც.
სამწუხაროდ, მსოფლიო ეპიდემიის, საქართველოში მძიმე ეპიდვითრების და ზოგადად, ამ მიმართულებით მსოფლიოში მოქმედი რეგულაციების გათვალისწინებით ვერ მოხერხდა პედაგოგთა ვიზიტის დაგეგმვა ფინეთში, თუმცა ისინი სხვადასხვა სახის რეკომენდაციებს ფინელი პარტნიორების მხირდან დისტანციურ რეჟიმში საჭიროებისამებრ იღებდნენ.

განხორციელდა ღიაგაკვეთილების ორგანიზება.

მშობელთა ჩართულობა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში

სკოლას თავისი ფუნქციონირების დაწყების დღიდადნ და დღემდე ძალიან გამართული აქვს მშობლებთან კომუნიკაცია. სასწავლო პროცესის მიმდინარების შესახებ მათი სისტემატური ინფორმირება, დაგეგმილის მიხედვით, მუდმივად ხდებოდა. ასევე, მათი ინფორმირება მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ.

დაგეგმილი იყო მშობელთა მრჩეველთა საბჭოს შექმნა, რომელიც ვერ განხორციელდა.

საერთაშორისო კავშირების დამყარება და განვითარება

სკოლა აქტიურად თანამშრომლობს ფინელ პარტნიორებთან. ასევე, ეძებს და ამყარებს ახალკავშირებს.

არსებული გარემოებების გათვალისიწნებით, ვთვლი, რომ ერთწლიან სამოწმედო გეგმაში გაწერილი მიზნები და ღონისძიებები შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად შესრულდა. რისი შესრულებაც ვერ მოხერხდა, უმეტესად - ობიექტური, ზოგჯერ კი სუბიექტური

აღსანიშნავია, რომ სკოლაში შეიცვალა მმართველი გუნდი. გაიმართა შეხვედრები თანამშრომლებთან, მშობლებთან. მათ ეცნობათ სკოლის სტრატეგიების და მომავალი მიზნების შესახებ. თანამშრომლებისთვის ჩატარდა ე.წ. თიმ ბილდინგი კახეთში, სადაც მათ მიეცათ შესაძლებლობა გამოეთქვათ თავიანთი უკუკავშირი - დადებითი პოზიცია, უარყოფითი კომენტარები, მოლოდინები, ის თუ რა მოწონდათ ან რისი შეცვლა სურდათ. სკოლაში დაიწყო კომუნიკაციის პორბლემების აღმოფხვრა და დაიხვეწა საკომუნიკაციო ფორმები. გარდა ამისა, უფლებამოსილებების დელეგირება მოხდა უფრო ზუსტად და დეტალურად, რაც აისახება მომავალი წლის გეგმებსა და დოკუმენტაციაში.

სს ფინური საერთაშორისო სკოლის
დირექტორი აიეტი კუკავა

09.07.2023 წ.